

პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი

ზნეობრივი სიმამაცე

მოკვდავი ცხოვრების ერთერთი მიზანია, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ღმერთს რომ მის მცნებებს დავიცავთ იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ამისათვის ჩვენგან სიმამაცის გამოჩენა იქნება საჭირო. ჩვენ გავიარეთ ეს გამოცდა წინამიწიერ სამყაროში. მაგრამ ციური ლაშქარის მესამედი აღუდგა წინადადებას რომ გაევლოთ მოკვდავი არსებობის გამოცდა, სადაც იქნებოდა საშიშროება, რომ გამოცდას ვერ გაუძლებდნენ.

სანამ დავიბადებოდით ჩვენ პირადად ვიცნობდით მამაღმერთს და მის ძეს, იესო ქრისტეს ჩვენ ისინი შეგვეძლო გვეხილა და მოგვესმინა, როდესაც ისინი გვასწავლიდნენ და გვამხნევებდნენ. დღეს ჩვენი გონება და მეხსიერება დაფარულია ბინდით. სატანას, ტყუილის მამას, დღეს, აქვს უპირატესობა, ჩვენ უნდა შევძლოთ დავინახოთ სინამდვილე ჩვენს შესახებ, რწმენის თვალებით, იმ დროს, როდესაც ჩვენი სხეულები გვიბიძგებენ ხორციელი ცდუნებებისაკენ და სისუსტეებისაკენ.

ჩვენ გვყავს დიდ დამხმარეები რომლებიც გვამხნევებენ ამ ცხოვრებაში. ყველაზე უდიდესი დახმარება ჩვენთვის არის ქრისტეს გამოსყიდვა. იმის შედეგად, რაც მან გააკეთა, ჩვენ ცოდვებისაგან ვინწმინდებით ნათლობის წყლით. ზიარების მიღებისას ჩვენ შეგვიძლია კვლავ განვაახლოთ ეს კურთხევა, რწმენით და მომნანიებელი გულით.

ჩვენთვის ნაბოძები სულიერი ძღვენიც ასევე გვეხმარება. ჩვენ დაბადებიდანვე ვიღებთ ქრისტეს სულს. ეს გვაძლევეს ძალას, იმის გასაგებად, რომ ჩვენს წინ არსებული არჩევანი, მიგვიყვანს მარადიული სიცოცხლისაკენ. წმინდა წერილები არიან უტყუარი გზამკვლევები, როდესაც ჩვენ მათ ვკითხულობთ სულიწმინდის დახმარებით.

სულიწმინდა საშუალებას გვაძლევს გამოვხატოთ მადლიერება და ლოცვისას ვსთხოვოთ შველა, ნათლად და გულდაჯერებულად, ისე როგორც ჩვენ ეს შეგვეძლო უწინ, მამაზეციერთან ყოფნისას და ამას კვლავ შევძლებთ, როდესაც მასთან დავბრუნდებით. ღმერთთან ასეთი კავშირი გვეხმარება ჩვენი გულებიდან შიშის განდევნაში რადგან ის აყალიბებს რწმენას და სიყვარულს მამაზეციერში და იესო ქრისტეში.

წმინდა მღვდლობა გვაძლევს მოყვასის სამსახურისათვის საჭირო გამბედაობას. ამ გზით ჩვენ გვეძლევა ძალა ვემსახუროთ ღმერთის შვილებს და წინ აღვუდგეთ ბოროტების გავლენას. როდესაც ის მოგვიწოდებს სამსახურისათვის, ჩვენ ვიღებთ დაპირებას: „და სადაც თქვენ მიგიღებენ იქ ვიქნები მეც, რადგან თქვენს წინ მე ვიქნები. მე ვიქნები თქვენს მარჯვნივ და მარცხნივ, ჩემი

სული იქნება თქვენს გულებში, ჩემი ანგელოზები თქვენს გარშემო, იმისათვის რომ ხარში ამოგიდგნენ" (მოძღვრება და აღთქმები 84:88).

წინასწარმეტყველ იოსებ სმითს მსახურობისას ჰქონდა მიზეზები, რომ შეშინებოდა. მაგრამ ღმერთმა მისცა მას სიმამაცე, მეუფის მაგალითით და ამ დაპირებით:

„და თუ ჩაგაგდებენ დილეგში, თუ ჩავარდები მკვლელების ხელში და მოგისჯიან სიკვდილის სასჯელს ან გადაგაგდებენ ზღვის უფსკრულში თუ ტალღები და ულმობელი ქარები დაგემუქრებიან, ცა შავად მოიქუფრება და ბუნების ყველა ძალა გაერთიანდება გზის გადასაჭრელად და აზვირთდებიან შენს წინააღმდეგ, თუ ჯოჯოხეთი დააღებს ფართედ ხახას შენს ჩასანთქავად, გახსოვდეს შვილო ჩემო, რომ ეს ყველაფერი მოგცემს გამოცდილებას და სასიკეთო იქნება შენთვის."

„ადამიანის შვილმა ქედი მოიხარა ამ ყველაფრის წინ. ნუთუ მასზე უფრო დიადი ხარ?" (მოძღვრება და აღთქმები 122:7–8).

ღმერთმა გაგვიწია საკმარისზე მეტი დახმარება, რომ ჩვენ გამოვიჩინოთ სიმამაცე და დავამარცხოთ შიში მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა შეგვხვდეს ცხოვრებაში. როდესაც მას შევსთხოვთ დახმარებისათვის, მას შეუძლია აგვამაღლოს მარადიული სიცოცხლისაკენ, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფით.

ამ მოწოდების დედააზრი

„Იესო ქრისტე, მთავარი მასწავლებლი, ხშირად სვავდა შეკითხვებს იმისათვის რათა გაემხნევებინა ადამიანები, რომ ეფიქრათ და ეცხოვრათ იმ პრინციპებით, რომლებსაც ის ასწავლიდა.... მისი შეკითხვები შთააგონებდა ადამიანებს ეფიქრათ სულიერებაზე და ვალდებულებებზე" (*Teaching, No Greater Call,* [1999], 68).} მოიფიქრეთ და დაუსვით რამოდენიმე შეკითხვა, იმისათვის, რომ პიროვნებამ უკეთესად გაიგოს და მიიღოს ის ჭეშმარიტებები რომლებიც ისწავლება ამ მოწოდებაში. მაგალითად თქვენ შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვა, „როგორი დახმარება გაგიწიათ ღმერთმა რითაც მოგეცათ სიმამაცე და დაამარცხეთ შიში?" ან „როგორ დაგეხმარათ ღმერთი რომ დაგემარცხებინათ თქვენი შიშები?" თანამოსაუბრეებს სთხოვეთ იფიქრონ შეკითხვაზე სანამ გიპასუხებენ.

ახალგაზრდები

არავინ არ არის სრულყოფილი

შაუნა სკოიბეს მოთხრობა

მე ყოველთვის მინდოდა რომ ვყოფილიყავი როგორც ნეფი: ძალიან მორჩილი, უკიდურესად ერთგული და ღრმად სულიერი. ჩემ თვალში ნეფი იყო სიკეთის საუკეთესო მაგალითი. არც თუ ისე ბევრი რამ მიტაცებდა ისე როგორც ფიქრი იმაზე რომ როდესაც გავიზრდებოდი ვყოფილიყავი როგორც ის — ან დასაწყისისთვის მისი სიძლიერს ნაწილი მაინც, რომ მქონოდა.

ერთ დღეს მე მქონდა პატარა კრიზისი, რაც გამოწვეული იყო შეუსაბამობის შეგრძნების გამო. მე მქონდა უზარმაზარი ამბიციები და უამრავი მიზნები. მაგრამ თითქოს, არც არაფერი არ გამომდიოდა. უიმედო ცხარე ცრემლებით ჩემს გრძნობებზე მოვუყევი მამაჩემს. ის სწრაფად ადგა მივიდა წიგნების თაროსთან და იქიდან აიღო მისი მორმონის წიგნი. სიტყვის უთქმელად მან ის გადაშალა 2 ნეფი 4 და დაიწყო მე-17 ლექსის კითხვა.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა როდესაც ვუსმენდი ამ ძალით აღსავსე სიტყვებს: „ო, უვარგისი კაცი, რომელიც ვარ მე!" ფიქრებში გამიელვა. როგორ შეეძლო ნეფის, ჩემს სამაგალითო გმირს ეთქვა რომ ის იყო „უვარგისი"? თუ ის იყო უვარგისი, მაშინ მე ვინ ვარ?

კვლავ დამიარა ტანში ჟრუანტელმა, როდესაც მამაჩემმა წამიკითხა ლექსი 28: „გამოიღვიძე სულო ჩემო! მეტი აღარ შესცოდო." ვიგრძენი თითქოს მოიწმინდა ჩემი მოღრუბლული ცასავით გონება და თითქოს სითბოთი სავსე მზემ გამოანათა ცისფერ ლაჟვარდში. ასე შეიძლება ავღწერო თუ როგორ გამინათა ამ ლექსმა სული. წმინდა წერილების რამოდენიმე ლექსს თუ აღუვსია ჩემი გული ასეთი იმედით, შთაგონებით და სიხარულით ისე როგორც გააკეთა ამ ლექსმა.

30-ე ლექსში, ნეფიმ სთქვა ზუსტად ის რასაც ვფიქრობდი, ოღონდ უფრო მჭევრმეტყველი სიტყვებით: „ღმერთო, შენ ხარ ჩემი ხსნის კლდე და ჩემი სული გაბედნიერდება შენით." ამ ლექსმა უფალის ნაზი სიყვარულისათვის და მოწყალებისათვის მომიტანა სიმშვიდე და მადლიერების გრძნობა.

მამაჩემმა დახურა წიგნი და ამიხსნა, რომ ამ ლექსებს ხანდახან უწოდებენ ნეფის ფსალმუნს. შემდეგ მან წყნარად განმიმარტა, რომ დედამიწაზე ყველაზე

დიდებული ადამიანებიც კი არ არიან სრულყოფილნი და ამ ადამიანებმაც უნდა სცნონ თავიანთი არასრულყოფილებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქნებიან ქედმაღალნი და ამიტომ ვერ იქნებოდნენ დიდებულნი.

მე მესმოდა. მხოლოდ იმიტომ, რომ მე მქონდა სისუსტეები, არ ნიშნავდა, რომ არ შემეძლო ვყოფილიყავი როგორც ნეფი. ჩემი სისუსტეების დანახვამ უფრო დამაახლოვა ნეფის მაგალითამდე. ნეფი არა მარტო იმიტომ იყო დიდებული, რომ ის იყო მორჩილი და ერთგული, ასევე იმიტომაც, რომ ის იყო თავმდაბალი და მზად იყო ეღიარებინა მის მიერ ჩადენილი შეცდომები.

ამის შემთხვევის შემდეგ, მე დავაფასე ნეფის ეს სიტყვები. ყოველთვის როდესაც მათ ვკითხულობ, ვგრძნობ იგივენაირ გრძნობებს და სიხარულს როგორიც პირველად წაკითხვისას ვიგრძენი. ეს ლექსები მიმღერიან რომ მე ვარ ღმერთის ასული, იმაზე მეტის შემძლე თუ ოდესმე მე თვითონ წარმოვიდგენდი. მე ვიცი რომ თუ მე ვიქნები ერთგული და შეუპოვრად წინ ვივლი, მელის ენით აუწერელი კურთხევები

ბავშვები

ძღვენები რომელებიც გვაძლევენ გამბედაობას

პრეზიდენტი აირინგი მოგვითხრობს, რამოდენიმე ძღვენზე, რომლებიც გვაძლევენ გამბედაობას. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ყოველი წმინდა წერილი და სუფთა ფურცელზე დაწერეთ მიღებულ ძღვენთა დასახელება. ესაუბრეთ თქვენს ოჯახს თუ როგორ მოგცემთ ისინი სიმამაცეს.

1. მოციქულთა საქმენი 22:16 _____

2. 2 ნეფი 4:15 _____

3. მოძღვრება და აღთქმები 59:8–9 _____

4. 2 ნეფი 32:5 ; იოანე 14:26–27 _____

5. 1 თესალონიკელებს 5:17 _____

© 2009 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში ინგლისურ ენაზე დამტკიცებულია 6/09. თარგმანი დამტკიცებულია 6/09. თარგმანი *First Presidency Message, March 2010.* Georgian. 09363 131

წმინდა წერილების დამოუკიდებელი შესწავლით მამაღმერთში და იესო ქრისტეში რწმენის განმტკიცება

ასწავლეთ ეს წმინდა წერილები და ციტატები ან საჭიროებისამებრ სხვა პრინციპები, რომლებიც დალოცავენ იმ დებს, ვისთანაც სტუმრად მიდიხართ. გაუზიარეთ თქვენი დამოწმება მოძღვრებაზე. გაკვეთილის დროს, სთხოვეთ, რომ მათაც გაგიზიარონ თუ რა იგრძნეს და ისწავლეს.

„როდესაც ახლად გათხოვილი ვიყავი, ... მე დამპატიჟეს, სამეურვეოს შვების საზოგადოების დებისათვის, მიძღვნილ სადილზე, სადაც დაპატიჟებულნი იყვნენ ის დები რომლებსაც წაკითხული ჰქონდათ მორმონის ან ეკლესიის ისტორიის პატარა წიგნი. იმ დროს იშვიათად, ვკითხულობდი წმინდა წერილებს და მანამდე, მე უკვე წაკითხული მქონდა ეკლესიის ისტორიის პატარა წიგნი, რადგან ამას უფრო ნაკლები დრო სჭირდებოდა და ამიტომაც დამპატიჟეს სადილზე. როდესაც შუადღისას ვსაუზმობდი შემექმნა ძლიერი შეგრძნება, რომ მიუხედავად იმისა ჩემს მიერ წაკითხული ეკლესიის ისტორიის წიგნი კარგი იყო მე აუცილებლად უნდა წამეკითხა მორმონის წიგნი. სულიწმინდა მკარნახობდა, რომ შემეცვალა ჩემი მიდგომა წმინდა წერილების კითხვის მიმართ. იმ დღიდან მოყოლებული, მე დავიწყე მორმონის წიგნის კითხვა და მეტი არასდროს აღარ გავჩერებულვარ.... ვინაიდან მე დავიწყე ყოველდღიურად წმინდა წერილების კითხვა, მე ვისწავლე ბევრად უფრო მეტი ჩემს მამაზეციერზე, მის ძეზე, იესო ქრისტეზე და კიდევ რა უნდა გავაკეთო, რომ გავხდე მათნაირი....

"... ყოველ ქალს შეუძლია იყოს სახარების მოძღვრების მასწავლებელი საკუთარ სახლში, ასევე ყოველ დას ეკლესიაში, როგორც წინამძღვარს და მასწავლებელს სჭირდება სახარების ცოდნა. თუ ჯერ არ გამოგიმუშავებიათ ჩვევა, რომ ყოველდღიურად შეისწავლოთ წმინდა წერილები, დაიწყეთ ეხლა და ნუ შეყოვნდებით იმისათვის, რომ მოემზადოთ თქვენი ამქვეყნიური და მარადიული ცხოვრების ვალდებულებებისათვის."[1]

ჯულია ბ. ბეიქი, ხსნის საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი.

შინამასწავლებლის დასახმარებლად

სასწავლებლად სტუმრობის დროს, უპასუხეთ დასმულ შეკითხვებზე და გაუზიარეთ წმინდა წერილების განმარტებები. გაუზიარეთ თქვენი დამოწმება, წმინდა წერილების შესწავლით თუ როგორ განმტკიცდა თქვენი რწმენა. შეეკითხეთ დას, ვისაც სტუმრობთ, რომ მანაც გაგიზიაროთ თუ როგორ განამტკიცა წმინდა წერილების შესწავლამ მისი ოჯახი.

პირადი მომზადება

იოანე 5:39
2 ტიმოთე 3:14–17
2 ნეფი 9:50–51; 31:20; 32:3–5
მოძღვრება და აღთქმები 138:1–11

„წმინდა წერილების სწავლა დაეხმარება ჩვენი პირადი და ჩვენი ოჯახის წევრების დამოწმებას. დღეს, ჩვენი ბავშვები, იზრდებიან გარემოცვაში სადაც გვესმის მოწოდებები, იმისაკენ, რომ უარყონ ის რაც სწორია, ამ მსოფლიოს სიამტკბილობის სანაცვლოდ. სანამ მათ არ ექნებათ იესო ქრისტეს სახარების მყარი საძირკველი, ჭეშმარიტების დამოწმება და გადაწყვეტილება იცხოვრონ უბიწოდ, ისინი იქნებიან ამ ზეგავლენისადმი დამთმობნი. ეს არის ჩვენი ვალდებულება რომ განვამტკიცოთ და დავიცვათ ისინი."[2]

პრეზიდენტი თომას ს. მონსონი.

„ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი დები იყვნენ წმინდა წერილების მოწაფეები.... თქვენ გჭირდებათ მისი მარადიული ჭეშმარიტებების გაცნობიერება, თქვენი პირადი და თქვენი ბავშვების კეთილდღეობისათვის, ასევე თქვენი შვილების თქვენგან განათლების მიღების მიზნისათვის და ყველასი ვინც იქნება თქვენს გარემოცვაში.”[3]

„ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ოჯახები დალოცვილები იყვნენ წმინდა წერილების მცოდნე დებით — დაოჯახებული ან თუნდაც მარტოხელა, ახალგაზრდა ან მოხუცი, დაქვრივებული ან მეუღლით.... გახდით წმინდა წერილების შემსწავლელები — არა სხვების საძაგებლად არამედ მათ ასამაღლებლად!”[4]

პრეზიდენტი სპენსერ ვ. ქიმბალი (1895–1985).

მენიშვნები

1. ჯულია ბ. ბეიქი, „ჩემი სული განათდა წმინდა წერილებში,” *Liahona,* მაისი 2004, 107–9.
2. თომას ს. მონსონი „სამი მიზანი რომელიც გაგიძღვება წინ,” *Liahona,* ნოემბერი. 2007, 118.
3. სპენსერ ვ. ქიმბალი, „დების პრივილეგიები და პასუხისმგებლობები,” *Ensign,* ნოემბერი. 1978, 102.
4. სპენსერ ვ. ქიმბალი, „უბიწო ქალის როლი,” *Ensign,* ნოემბერი. 1979, 102.

© 2009 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, March 2010.* Georgian. 09362 131